სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №8
2016 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

„თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ" სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ" სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებით დამტკიცებულ „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების“ 51-ე მუხლის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. აირტურბინულ მრავალძრავიანი, 5700 კგ ან ნაკლები მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასის თვითმფრინავები, რომლებსაც აქვთ 9-ზე მეტი სამგზავრო ადგილი და რომელზეც საფრენად ვარგისობის ინდივიდუალური მოწმობა პირველად გაიცა 1998 წლის 1 აპრილიდან, უნდა აღიჭურვოს FDR-ით.".

2. 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,23. აირტურბინულ მრავალძრავიანი, 5700 კგ ან ნაკლები მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასის თვითმფრინავები, რომლებსაც აქვთ 9-ზე მეტი სამგზავრო ადგილი და რომელზეც საფრენად ვარგისობის ინდივიდუალური მოწმობა პირველად გაიცა 1990 წლის 1 იანვრიდან, უნდა აღიჭურვოს CVR-ით.".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გურამ ჯალაღონია**